

მთლიანი შიდა პროდუქტი შემოსავლების მეთოდით (კვარტალური/წლიური)

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
1	საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	ლევან ქარსაულიძე
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	lkarsaulidze@geostat.ge
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (302)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
2	მეტამონაცემების განახლება	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2020 წ. 4 თებერვალი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2020 წ. 4 თებერვალი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2020 წ. 4 თებერვალი
3	სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1	მონაცემების აღწერა	საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის (ევროსტატის), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (SNA-2008) სტანდარტული მეთოდოლოგია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 (SNA-2008); • ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016) (შემუშავებულია NACE Rev. 2 ბაზაზე); • დასაქმების სტანდარტული კლასიფიკაცია - ISCO-88 (2006 წ.); • საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია; • საქართველოს საგადასახდელო ბალანსი.
3.3	სექტორის მოცვა	მთელი ეკონომიკა ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.
3.4	სტატისტიკური ცნებები და	მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების

ცნების დასახელება	წარმოდგენა
განსაზღვრებები	<p>შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.</p> <p>შრომის ანაზღაურება – დამქირავებელის მიერ ქირით მომუშავესათვის საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს გასამრჯელო ფულადი ან ნატურალური ფორმით. აღირიცხება დარიცხვის წესით და ყალბდება ორი კომპონენტის საფუძველზე:</p> <p>ა) შრომის ანაზღაურება გადასახადების გამოქვითამდე, რომელიც მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას შრომისათვის, სხვადასხვა სახის პრემიების, დანამატების ჩათვლით ფულადი ან ნატურალური ფორმით (დაფინანსების წყაროს მიუხედავად), აგრეთვე ფულად თანხებს არანაშუქმეარი დღეებისათვის (შვებულება, სადღესასწაულო დღეები და სხვა);</p> <p>ბ) სოციალური დაზღვევის ანარიცხები, რომელიც მოიცავს იმ თანხებს, რომლებსაც სამუშაოს მიმცემი არიცხავს.</p> <p>მთლიანი შერეული შემოსავლები მოიცავს შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული არაკორპორირებულ საწარმოების შემოსავლებს მის წარმოებაზე განეული ხარჯების გამოკლებით. მასში აისახება შინამეურნეობების წევრების მიერ ხელფასის სახით აუნაზღაურებადი მწარმოებლური საქმიანობის შედეგები. მოიცავს როგორც შინამეურნეობათა შრომის ანაზღაურებას, ასევე ამ არაკორპორირებულ საწარმოთა მოგებას.</p> <p>მთლიანი მოგება – მთლიანი დამატებული ღირებულების ნაწილი, რომელიც რჩებათ მწარმოებლებს (კორპორაციებს) შრომის ანაზღაურებისა და წარმოებაზე წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. ეს კატეგორია განსაზღვრავს მოგებას (ან ზარალს), საკუთრებიდან შემოსავლების აღრიცხვამდე.</p> <p>ზოგადად ტერმინი “მთლიანი” გულისხმობს მაჩვენებლების გამოსახვას ძირითადი კაპიტალის მოხმარების ჩათვლით, ხოლო ტერმინი “წმინდა” – ძირითადი კაპიტალის მოხმარების გარეშე.</p> <p>გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე და იმპორტზე (პროდუქციაზე გადასახადები) არის სავალდებულო, დაუბრუნებადი გადასახდებები, რომელიც დარიცხულია სახელმწიფოს მიერ საწარმოო ერთეულებიდან წარმოებული საქონლისა და მომსახურების ან იმპორტის მოცულობის პროპორციულად. პროდუქციაზე გადასახადებს მიეკუთვნებიან: დამატებული ღირებულების, აქციზური, იმპორტზე და საბაჟო გადასახადები. მასში არ შედის ქონების, საშემოსავლო, სოციალური, მოგების და სხვა გადასახადები, რომლებითაც იბეგრება თვითონ წარმოების პროცესი, მიუხედავად პროდუქციის მოცულობისა.</p> <p>სხვა გადასახადები წარმოებაზე დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების (შრომა, მიწა, კაპიტალი) გამოყენებასთან, მათ მიეკუთვნება აგრეთვე გადასახდებები ლიცენზიებისათვის, კერძოდ: მიწის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ქონების, გარემოზე ზემოქმედების, უძრავი ქონების გადაცემის, მემკვიდრეობისა და ჩუქების და ამ ხასიათის სხვა გადასახადები.</p> <p>სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქციაზე – სახელმწიფოს მიერ გაცემული მიმდინარე, უსასყიდლო შეღავათები, რომელიც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით ეძლევათ საწარმოო ერთეულებს საქონლისა და მომსახურების წარმოების, ექსპორტის, იმპორტის ან წარმოების ფაქტორების გამოყენებისათვის, ან რეგულარულად გაცემული თანხები იმ დანაკარგებისათვის, რომელიც წარმოიშობა მაშინ,</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		როდესაც წარმოებული პროდუქციის გასაყიდი ფასი წარმოების საშუალო დანახარჯებზე დაბალია. სუბსიდიები, ისევე როგორც გადასახადები იყოფა პროდუქციაზე (მიწოდებული პროდუქციის მოცულობის პროპორციულად დარიცხულ) და წარმოებაზე (მთლიანად წარმოების პროცესის ხელშეწყობის მიზნით დარიცხულ) სუბსიდიებად. ტერმინი "წმინდა გადასახადები" გულისხმობს, რომ გადასახადები ნაჩვენებია შესაბამისი სუბსიდიების გამოკლებით.
3.5	სტატისტიკური ერთეული	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები; • სახელმწიფო მმართველობის ორგანოები; • შინამეურნეობები; • შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო).
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია.
3.7	საანგარიშო არეალი	საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).
3.8	დროის მოცვა	დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 1993 წლის (SNA 1993) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 1996-2018 წლებისთვის. დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 წლის (SNA 2008) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 2010 წლიდან.
3.9	საბაზო პერიოდი	-
4	ზომის ერთეული	მილიონი ლარი.
5	საანგარიშო პერიოდი	კვარტალი, წელი.
6	ინსტიტუციური მანდატი	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2	მონაცემთა გაზიარება	• მემორანდუმები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან და ეროვნულ ბანკთან.
7	კონფიდენციალურობა	
7.1	კონფიდენციალურობა-პოლიტიკა	1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ": <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. <p>https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</p> <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
7.2	კონფიდენციალურობა–მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8	გამოქვეყნების პოლიტიკა	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	https://geostat.ge/ka/calendar
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
9	გავრცელების სიხშირე	კვარტალური, წლიური.
10	ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა	
10.1	პრეს–რელიზები	-
10.2	პუბლიკაციები	<p>სტატისტიკური კრებული "საქართველოს ეროვნული ანგარიშები" ქართულ და ინგლისურ ენებზე. ელექტრონული ვერსია:</p> <p>https://geostat.ge/ka/single-categories/113/sakartvelos-mtliani-shida-produkti</p> <p>https://geostat.ge/en/single-categories/113/gross-domestic-product-of-georgia</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	<p>მონაცემები „MS. Excel“-ის ცხრილების სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებ-საიტზე სტატისტიკური ინფორმაციის ნაწილში „ეროვნული ანგარიშები“-ს განყოფილებაში ჩანართში „მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)“.</p> <p>https://geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp</p> <p>მონაცემები “PC-Axis“-ის ბაზის სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებ-საიტზე მონაცემთა ბაზები „PC-Axis“ ნაწილში „ეროვნული ანგარიშები“-ს განყოფილებაში „მთლიანი შიდა პროდუქტი“-ს ჩანართში:</p> <p>http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database</p>
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	არ არის ხელმისაწვდომი.
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	<p>მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:</p> <p>https://geostat.ge/ka/modules/categories/119/methodologia-erovnuli-angarishebi</p>
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
11	ხარისხის მართვა	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	<p>სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).</p>
11.2	ხარისხის შეფასება	<p>საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.</p>
12	შესაბამისობა	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	<p>მომხმარებელთა ძირითად ჯგუფებს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოები, მეცნიერ-მკვლევარები, სასწავლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ნებისმიერი მომხმარებელი, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებით, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და პროგნოზირების საკითხებით.</p>
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	<p>2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:</p> <p>https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli</p>
12.3	სისრულე	<p>მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას მოცულია როგორც აღრიცხული, ისე აღურიცხავი ეკონომიკის გამოშვება და შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია საერთაშორისო მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებთან.</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
13	სიზუსტე და სანდოობა	
13.1	ზოგადი სიზუსტე	-
13.2	შერჩევითი ცდომილება	-
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	-
14	დროულობა და პუნქტუალურობა	
14.1	დროულობა	<ul style="list-style-type: none"> • მშპ-ის კვარტალური წინასწარი მონაცემები თავდაპირველად ქვეყნდება საანგარიშო კვარტალის დასრულებიდან 90-ე დღეს; • გასული წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ, იმავე წლის ოთხი კვარტალის მაჩვენებლების დაზუსტებასთან ერთად ხორციელდება მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების მაჩვენებლების გადაანგარიშება; • საანგარიშო წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ ზუსტდება კვარტალური მაჩვენებლები და მათი გამოქვეყნება ხდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მე-11 თვეს (საანგარიშო წლის შემდგომი წლის ნოემბრის ბოლოს).
14.2	პუნქტუალურობა	მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15	თანამიმდევრულობა და შესადარისობა	
15.1	შესადარისობა – გეოგრაფიული	მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე.
15.2	შესადარისობა – დროში	მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.
15.3	თანამიმდევრულობა–სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	<p>ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა პერიოდულობის და დეტალიზების შემდეგი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან: წლიური ეროვნული ანგარიშები, კვარტალური ეროვნული ანგარიშები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები.</p> <p>ეროვნული ანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი სტატისტიკური წყაროები: ბიზნეს სტატისტიკა, მოკლევადიანი სტატისტიკა, დასაქმების სტატისტიკა. აღსანიშნავია, რომ წყაროებში გამოყენებული ცვლადების განმარტება ხშირად განსხვავდება ეროვნული ანგარიშების კონცეფციებისგან, რისთვისაც ხდება დამატებითი კორექტირება ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.</p>
	თანამიმდევრულობა–შიდა	ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა პერიოდულობის და დეტალიზების შემდეგი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან: წლიური ეროვნული ანგარიშები, კვარტალური ეროვნული ანგარიშები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები.
16	დანახარჯები და დატვირთვა	-
17	მონაცემთა გადასინჯვა	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა	სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
17.2	მონაცემთა გადასინჯვა-პრაქტიკა	<p>სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკური მწკრივები დროთა განმავლობაში საჭიროებენ დაზუსტებას. ამის საჭიროება შეიძლება დადგეს ზოგადად მეთოდოლოგიის ცვლილების ან რაიმე კონკრეტული მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების შედეგად. ახალი გამოკვლევის ჩატარების შედეგად მიღებული შედეგები შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს წინა პერიოდის მაჩვენებლებისაგან. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ახალ მონაცემებს, მაგრამ დინამიკური მწკრივის შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წინა პერიოდების შესწორებაც.</p> <p>დღეისათვის მონაცემთა დაზუსტება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:</p> <ul style="list-style-type: none"> • მშპ-ის კვარტალური წინასწარი მონაცემები თავდაპირველად ქვეყნდება საანგარიშო კვარტალის დასრულებიდან 90-ე დღეს; • გასული წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ, იმავე წლის ოთხი კვარტალის მაჩვენებლების დაზუსტებასთან ერთად ხორციელდება მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების მაჩვენებლების გადაანგარიშება; • საანგარიშო წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ ზუსტდება კვარტალური მაჩვენებლები და მათი გამოქვეყნება ხდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მე-11 თვეს (საანგარიშო წლის შემდგომი წლის ნოემბრის ბოლოს). <p>დინამიკური მწკრივები დაზუსტდა SNA 2008 მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად.</p> <p>SNA 2008 მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად განხორციელდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის დანერგვა ეროვნულ ანგარიშებში. ასევე, დაზუსტდა ცალკეული დარგების გამოშვების გაანგარიშების მეთოდოლოგია, რამაც გამოიწვია დროითი მწკრივის განახლების საჭიროება. 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა მეთოდოლოგიის ცვლილებებით გამოწვეული განახლებული მონაცემთა მწკრივები.</p>
18	სტატისტიკური დამუშავება	
18.1	პირველადი მონაცემები	<p>მონაცემთა წყაროს წარმოდგენს საქსტატის დეპარტამენტების მიერ განხორციელებული კვლევები და ადმინისტრაციული მონაცემები.</p> <p>საქსტატის შიდა წყაროებიდან მიღებული მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემები არაფინანსური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ (საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა); • მონაცემები შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი მაჩვენებლები (საქსტატის სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და სტატისტიკური გამოკვლევა - მონაცემები შრომის შესახებ). <p>მონაცემთა გარე წყაროები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო).
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	კვარტალური, წლიური.
18.3	მონაცემთა შეგროვება	საქსტატის დეპარტამენტების მონაცემთა ბაზები და ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებული ცხრილები.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
18.4	მონაცემთა კონტროლი	ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა სისწორის გადამოწმება ხდება მონაცემთა წყაროსთან.
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მიღებული მონაცემები მუშავდება ეროვნული ანგარიშებისათვის საჭირო ფორმატში. მომდევნო ეტაპზე ხორციელდება შემოსავლების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლების გაანგარიშება. გაანგარიშების სქემა: <i>შრომის ანაზღაურება + მთლიანი შერეული შემოსავალი + მთლიანი საოპერაციო მოგება + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქციაზე = მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.</i>
18.6	მოსწორება	-
19	კომენტარი	-